საქმე №3/3034-14

1664733526340

www.info.court.ge

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით
შესავალი ნაწილი

9 თებერვალი, 2015 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ნინო ბუაჩიძე
სხდომის მდივანი ეკატერინე კალმახელიძე

მოსარჩელე - ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
წარმომადგენელი - ნინო მერებაშვილი

მოპასუხე - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

დავის საგანი - ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 13 მაისის OPD05/14-005 განცხადების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 პუნქტებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულად გაცემა. ამასთან, 2015 წლის 9 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელის მიერ 2014 წლის 13 მაისის OPD05/14-005 განცხადების მე-10 პუნქტთან მიმართებით დაზუსტდა, რომ საჯარო მოხელის თანამდებობაში კონკრეტულად თანამდებობის პირის პოზიცია იგულისხმება (იხ. სხდომის ოქმი);

2. მოპასუხის პოზიცია

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

3. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა 2014 წლის 13 მაისს სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მიმართა OPD05/14-005 განცხადებით, რომლითაც საჯარო ინფორმაციის სახით შემდეგი ინფორმაცია მოითხოვა: 1) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით; 2) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით; 3) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით; 4) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამშრომლებზე (საერთო ოდენობა) დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა თვეების მიხედვით; 5) ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები; 6) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები; (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა, და თქვენი დაწესებულებისგან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მითითებით); 7) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე თანამდებობის პირების ქვეყნის გარეთ განხორციელებულ ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა შესახებ ჩამლილი ინფორმაცია (ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით), მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით; 8) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობის შესახებ შესაბამისი მიწერილობა (წერილობითი შეთანხმება) შემსყიდველის ზემდგომ ან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოსთან/თანამდებობის პირთან; 9) 2013 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე წერილის მიღების მომენტამდე გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვების სია, შესყიდვის სახეობის, მოცულობის, ობიექტისა და თანხის მითითებით; 10) ბალანსზე ერიცხული ავტომობილების ჩამონათვალი (ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წელის, შესყიდვის თარიღის, შესყიდვის ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით. ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება); 11) იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების ამოქმედი კანონმდებლობით ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ჩანაცვლდა (თითოეულის მიმართ ახალი ღირებულებისა და ჩასანაცვლებელი ქონების შეფასებული ღირებულების მითითებით);

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:
- ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2014 წლის 13 მაისის OPD05/14-005 განცხადება (ს.ფ. 14-15).

3.2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ არ იქნა გაცემული ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ 2014 წლის 13 მაისის OPD05/14-005 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რაც ინსტიტუტის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გასაჩივრდა;

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:
- ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2014 წლის 4 ივნისის ადმინისტრაციული საჩივარი (ს.ფ. 16-21).

3.3. 2014 წლის 4 ივლისს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კერძოდ, დაადგინა, რომ ადმინისტრაციული საჩივრით მოთხოვნილი ინფორმაციის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემებიდან უნდა გაცემულიყო მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენდა და ამასთან, არ შეიცავდა სხვის პერსონალურ მონაცემებს (გარდა თანამდებობის პირებისა). რაც შეეხებოდა შესყიდვებთან დაკავშირებულ მე-8, მე-9 პუნქტებით მოთხოვნილ მონაცემებს, გაიცემოდა იმ შემთხვევაში, თუ იგი სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია არ იყო. საჩივრით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა გაცემულიყო.

მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობა სასამართლო:
- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 04.07.2014 წლის გადაწყვეტილება MCLA 5 14 00312333 (ს.ფ. 22-23);

3.4 საქმის განხილვისას დადგინდა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 04.07.2014 წლის გადაწყვეტილება MCLA 5 14 00312333 არ გასაჩივრებულა.

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალებისა და მხარის ახსნა-განმარტების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა იმ

დასკვნამდე, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქათველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, ასევე სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციით რეგლამენტირებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზემოაღნიშნული ზოგადი პრინციპი კონკრეტიზირებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავით („ინფორმაციის თავისუფლება"). აღნიშნული თავის 28-ე მუხლი იმეორებს კონსტიტუციურ ნორმას, რომ საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 10.1 მუხლს, რომელიც ადგენს, რომ ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

6.3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27[1] მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემების ცნება, მათ დაცვასა და დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან

იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს, ხოლო იდენტიფიცირებადია პირი, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით, ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალურ მონაცემთა გარდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხას და შესყიდვების განხორციელების წესს შეიმუშავებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2014 წლის 13 მაისის OPD05/14-005 განცხადების რიგი პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს რიგითი თანამშრომლებზე გაცემული თანხების ოდენობას. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამგვარი ინფორმაცია გასცეს პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე. ასევე აღნიშნული წერილის მე-8, მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა გაიცეს იმ მოცულობით, რომელიც არ მოიცავს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების თაობაზე ინფორმაციას.

აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს გააჩნია ლეგიტიმური მიზანი მიიღოს 2014 წლის 13 მაისის OPD05/14-005 განცხადების პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 პუნქტებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, რომლებიც არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს.

6.4. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33^1 მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით

გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არის საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებას და მისი განხორციელების ვალდებულებაც კანონმდებლობით აკისრია მოპასუხეს. ამგვარად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული იყო კონკრეტული სახის ინფორმაცია დაემუშავებინა განცხადებაში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად და მიეწოდებინა იგი მომთხოვნი პირისათვის. ამდენად, წარმოდგენილი სარჩელი ეფუძნება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს და არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლი ადგენს სასამართლო ხარჯების განაწილების წესს. კერძოდ, მოცემული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოსარჩელემ სარჩელის აღძვრისას გადაიხადა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი - 100 ლარი. ამდენად, სარჩელის დაკმაყოფილების პირობებში, მოსარჩელე ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 100 ლარი უნდა გადახდეს მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს მოსარჩელის სასარგებლოდ.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33[1]-ე 34-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 243-244-ე, 248-249 მუხლებით და

გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

2. დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გასცეს ა(ა)იპ

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2014 წლის 13 მაისის OPD05/14-005 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია;

3. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს დაეკისროს ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სასარგებლოდ 100 (ასი) ლარის გადახდა;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის შეტანის გზით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე **ნინო ბუაჩიძე**